საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ბუნება“, სენაკის რაიონში, სოფ. ზანას ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გეგმავს კენკროვანი კულტურების ბაღის გაშენებას. მიწის ნაკვეთებიდან ერთ-ერთი, რომელზეც გათვალისწინებულია ბაღის გაშენება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას, რომლის საკადასტრო კოდია: 44.10.21.180, ხოლო მეორე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: 44.10.21.181, წარმოადგენს ფ/პ ილია დემურიას საკუთრებას. თავის მხრივ, ილია დემურია არის შპს ,,ბუნებას“ დამფუძნებელი და დირექტორი. ორივე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 200000 კვადრატულ მეტრს. შპს ,,ბუნება“-ს, აღნიშნული ბაღის მორწყვის მიზნით გათვალისწინებული აქვს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. აღნიშნული სარწავი სისტემის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია მდ. ხობისწყლიდან.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან

მიწის საკუთრების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

პატივისცემით

შპს „ბუნება“ –ს დირექტორი

ილია დემურია (62001008451)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 3902
05.03.2021
02

18.02.2021 წ